

შპს “ამბროლაურის ავტოგზა №10“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	3-4
საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5-6
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-13

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-12-21	31-12-20	31-12-2019
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	1,267,140	869,293	1,158,960
სავაჭრო მოთხოვნები		160,014	172,029	327,349
გადახდილი ავანსები		217,961	268,565	175,239
მარაგები	6	189,059	140,993	184,310
მზა პროდუქცია		-	-	
სხვა		189,059	140,993	184,310
საინვესტიციო ქონება		-	-	
სხვა მიმდინარე აქტივები	7	18,003	5,484	80835
ბიოლოგიური აქტივები		-	-	
თვითღირებულების მოდელით		-	-	
გადაფასების მოდელით		-	-	
გუდვილი		-	-	
სხვა არამატერიალური აქტივები			-	64,761
ძირითადი საშუალებები		977,665	903,690	639,382
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-	
სულ აქტივები		2,829,842	2,630,836	2,630,836

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	15,027	43,064	26,894
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	376	308	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	9	24,512	7,656
სულ ვალდებულებები	15,403	67,884	34,550
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	10	32,100	32,100
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	2,570,467	2,260,070	2,564,186
გადაფასების რეზერვი	211,872	-	-
სხვა რეზერვები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	2,814,439	2,596,28	2,596,286
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,829,842	2,360,054	2,630,836

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2021 წელი	2020 წელი
ნეტო ამონაგები		2,052,118	927,629
საქონლის გაყიდვიდან	3	818,728	604,472
მომსახურების გაწევიდან	3	3,084	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		1,173,027	286,685
სხვა	3	57,279	36,472
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		--	--
		(879,417)	(276,031))
საწყისი მარაგები		140,994	184,310
მარაგების შესყიდვა		927,483	232,715
გადამუშავების დანახარჯები		-	-
საბოლოო მარაგები		189,059	140,994
საერთო მოგება		1,172,701	1,856,747
სხვა შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(459,400)	(391.351)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(142,682)	(145.463))
საპროცენტო შემოსავალი		22,993	
საპროცენტო ხარჯი (-)		(753)	(820)
იჯარის ხარჯი (-)		-	-
		-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	4	(211,876)	(197,256)
სულ საოპერაციო ხარჯები		(791,718)	(734,890)
საოპერაციო მოგება/ზარალი		380,983	(83,292)

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

ფინანსური აქტივები (-)	-	
მარაგები (-)	-	
სხვა არაფინანსური აქტივები (-)	-	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-	
მიღებული დივიდენდები	-	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	380,983	(83,292)
მოგების გადასახადი (-)	-	
მოგება/(ზარალი)	380,983	(83,292)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	380,983	(83,292)
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,292,170	2,596,286
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(70,588)	(220,824)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	211,874	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,814,439	2,292,170

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2021 წელი	2020 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	397,847	-(289,667)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	397,847	(289,667)
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
 ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	869,293	1,158,960
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,267,140	869,293

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ამბროლაურის ავტოგზა №10“ (ს/ნ 222934243) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2002 წლის 22 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №11. კომპანიის დირექტორი არის როსტომ ბერაძე (პ/ნ 04001003277). კომპანიის ძირითადი საქმიანობა გზების და ავტობანების მშენებლობა და ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშვება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	2021 წელი ლარი
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	818,728
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	3,084
შემოსავალი შესრულებული სამუშაოებიდან	1,713,027
სხვა შემოსავალი	57279
	2,052,118

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021 წელი ლარი
კომუნალური ხარჯი	82,519
ქვე-მოიჯარეების მიერ შესრულებული სამუშაოების ხარჯი	16,474
საკონსულტაციო ხარჯი	12,203
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	15,665
სხვა ხარჯი	19,660
სამეურნეო ხარჯი	13,397
ლაბორატორიული მომსახურების ხარჯი	3,698
ავტოტექნომსახურების და სხვა მომსახურების ხარჯი	25,178
ლიცენზიის და ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის ხარჯი	10,570
მივლინების ხარჯი	0,120
საგადასახადო ხარჯი	12,391
	211,876

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	11	11
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,267,129	869,282
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	0
	<u>1,267,140</u>	<u>869,293</u>

6. სავაჭრო მოთხოვნები

	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
	ლარი	ლარი
მოთხოვნები რეზიდენტი საწარმოების მიმართ	377,975	440,594
მოთხოვნები არარეზიდენტი საწარმოების მიმართ	-	-
	<u>377,975</u>	<u>440,594</u>

7. მარაგები

	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
	ლარი	ლარი
ნედლეული და მასალები	189,059	140,993
	<u>189,059</u>	<u>140,993</u>

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
	ლარი	ლარი
საგადასახადო აქტივები	-	-
სხვა აქტივები	18,003	5,484
	<u>18,003</u>	<u>5,484</u>

9. სხვა ვალდებულებები

	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
	ლარი	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	15,027	43,064
სხვა ვალდებულებები	0,376	24,512
	<u>15,403</u>	<u>67,884</u>

10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 1 იანვრისთვის და 2021 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 32,100 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებლები.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 24 სექტემბერს.

შპს „ამბროლაურის ავტოგზა №10“-ს

დირექტორი: როსტომ ბერაძე /

10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 1 იანვრისთვის და 2021 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 32,100 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებლები.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 24 სექტემბერს.

შპს „ამბროლაურის ავტოგზა №10“-ს

დირექტორი: როსტომ ზერაძე /

